499.962.1-3
ს-971

ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნანა გიორგის ასული სუხიტაშვილი

მიხეილ ჯავახიშვილი და ახალი ქართული
სალიტერატურო ენა

სპეციალობა: 10.02.03 – ქართველური ენები

სადისერტაციო მაცნე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თ ბ ი ლ ი ს ი
1995

საკისერტაციო ნაშრომი შესრულებულია თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში

მეცნიერ-ხელმძღვანელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზ.სარჯველაძე

საბჭოს ექსპერტები: პროფ. ზ.ჭუმბურიძე
პროფ. ა. ონიანი

ოფიციალური ოპონენტები:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ალ.ღლონტი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოც.ლ.ჩხუბიანიშვილი

დისერტაციის დაცვა შედგება 1995 წ. 8 აპრილს სთ-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს P 10.02 C10-ნსხდომაზე
/370028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.№1/

დისერტაციას შეიძლება გაეცნოთ თსუ-ის ბიბლიოთეკაში

მაცნე დაგზავნილია . . . . . .

სამეცნიერო-საატესტაციო
საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილ.მეც.დოქტორი, პროფ. გ.წიბახაშვილი

Библиотека Тбилисского гос. университета им. И. Чавчавадзе

- 1491 -

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა

მიხეილ ჯავახიშვილი მეოცე საუკუნის ქართული პროზის ერთ-ერთი გრწყინვალე წარმომადგენელია. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ახალი ქართული საელიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში. იგი სამართლიანად ითვლება ახალი ქართული საელიტერატურო ენის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა მიხეილ ჯავახიშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, ქართულ საელიტერატურო ენას მრავალმხრივი საფრთხე ემუქრებოდა. ქართული ენის დამახინჯებამ თითქმის ყველა სფეროში იჩინა თავი. ეს დამახინჯება ძირითადად გამოწვეული იყო, ერთი მხრივ უცხოენობრივი, ხოლო, მეორე მხრივ, მომძლავრებული დიალექტური გავლენების გამო.

სტატიებში: „ახალი საელიტერატურო ქართულისათვის", „როგორ ვმუშაობ", „ქართული ენა", „ისევ ქართული ენის შესახებ" და სხვ. მწერალი მკაცრად იღაშქრებს ქართული ენის დამახინჯების წინააღმდეგ და მკითხველის წინაშე მეტად აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებს აყენებს.

ენის სიწმინდისათვის ზრუნვა ყოველი დროისთვის აუცილებელია. ასეა დღესაც. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია დიდი პროზაიკისის ენის შესწავლა, მისი თეორიული მოსაზრებების შეჯერება მის უზადო და შეუდარებელ პროზასთან.

ნაშრომის მიზანი

ნაშრომის მიზანია განსაზღვროს მიხეილ ჯავახიშვილის წვლილი ახალი ქართული საელიტერატურო ენის განვითარებაში. კერძოდ, გვიჩვენოს ის მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებები, რითაც მწერალი აღწევდა ნაწარმოების მაღალმხატვრულობას.